პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

შაბათი, 29 ოქტომბერი, 1949 წ. № 215 (8518). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უახლოეს დროში დავამთავროთ ტრანსპორტის მომზადება ზამთრისათვის — მოწინავე (1-ლი გვერდი).

პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინს (1-ლი გვერდი).

საქართველოს მევენახეები უხვად აძლევენ სამშობლოს ყურძენს! (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი და მე-2 გვერდი).

პროფესორი ა. ვოლკოვი — დიდი რევოლუციონერი დემოკრატი (მე-2 გვერდი).

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება (მე-2 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

უახლოეს დროში დავამთავროთ ტრანსპორტის მომზადება ზამთრისათვის

ჩვენი სამშობლოს სოციალისტური სახალხო მეურნეობა განუხრელი აღმავლობით მიდის წინ. საბჭოთა ინდუსტრიამ ჯერ კიდევ მიმდინარე წლის ივნისში 41 პროცენტით გადააჭარბა საერთო პროდუქციის სადღეღამისო გამოშვების 1940 წლის დონეს. სოციალისტური ინდუსტრიის უდიდეს წარმატებას ის ფაქტიც მოწმობს, რომ სსრ კავშირის მრეწველობამ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, გასული წლის მესამე კვარტალთან შედარებით 17 პროცენტით გაადიდა საერთო პროდუქციის გამოშვება. ასევე დიდია სასოფლო-მეურნეო სოფლის მიღწევები.

საბჭოთა ხალხი, რომელიც ამ დღეებში იდღესასწაულებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 32-ე წლისთავს, ენერგიის დაუზოგავად შრომობს ახალი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში — მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე, ახალმშენებლობებზე ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. დღითიდღე ძრავდება იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც უკვე გაანაღდეს თავიანთი ხუთწლედი და შემდგომი ხუთწლედის ანგარიშში უშვებენ პროდუქციას.

სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობა, სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების უჩვეულო ზრდა, ფართო მასშტაბით გაჩაღებული კაპიტალური და აღდგენითი სამუშაოები რკინიგზის ტრანსპორტის წინაშე ფრიად პასუხსაგებ ამოცანებს აყენებს. რკინიგზის ტრანსპორტის გამართულ, შეუფერხებელ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მთელი სახალხო მეურნეობის განვითარება, მისი შემდგომი წინსვლის უზრუნველყოფა.

საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ სახსრებს ხარჯავს რკინიგზის ტრანსპორტის ახალი ტექნიკით აღჭურვისათვის, საორთქლმავლო, სავაგონო და სავაგონო პარკის შევსებისათვის, სალიანდაგო და კავშირგაბმულობის მეურნეობის გაუმჯობესება-გაფართოებისათვის, რკინიგზის ახალი ხაზების გაყვანისათვის. რკინიგზის ტრანსპორტის ამ რთული მეურნეობის სათანადო მოვლა-პატრონობა, სამეურნეო წლის ყველა პერიოდში, განსაკუთრებით ზამთრის ძნელ პირობებში მისი შეუფერხებელი მუშაობა თვითეული რკინიგზელის საპატიო მოვალეობაა.

ამიერკავკასიის რკინიგზას მუდამ ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია დიდი საბჭოთა კავშირის რკინიგზებს შორის. ამიერკავკასიის რკინიგზელები საბჭოთა რკინიგზელების მრავალრიცხოვანი ოჯახის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. ეს საპატიო სახელი მათ დიდი სამამულო ომის წლებში თავდადებული მუშაობით დაიმსახურეს. ამ საპატიო სახელს ისინი ინარჩუნებენ ომისშემდგომ წლებში ნაყოფიერი შრომით. ჩვენი რკინიგზის ტრანსპორტი თვიდან თვემდე ადიდებს ტვირთზიდვას, მგზავრთა გადაყვანას, აუმჯობესებს მგზავრთა მომსახურებას. ჩვენმა რკინიგზელებმა მარტო მიმდინარე წლის მესამე კვარტალში, გასული წლის იმავე კვარტალთან შედარებით, სადღეღამისო დატვირთვა 25 პროცენტით გაადიდეს, ხოლო გადმოტვირთვას 18 პროცენტით გადააჭარბეს. მარტო ეს ფაქტიც მკაფიოდ მეტყველებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამიერკავკასიის რკინიგზელთა წარმატებანი.

ჩვენმა რკინიგზელებმა დროულად გააჩაღეს მუშაობა რკინიგზის ტრანსპორტის ზამთრისათვის მოსამზადებლად. ამ მიმართულებით თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული საელმავლო, საორთქლმავლო, სავაგონო, სალიანდაგო, კავშირგაბმულობისა და სხვა მეურნეობებში. გაცხოველებით მიმდინარეობს საორთქლმავლო დეპოებისა და დამხმარე ნაგებობათა რემონტი, ორთქლმავლების დათბუნვა ზამთრისათვის, წყალსატუმბავების წესრიგზე მოყვანა. 20 ოქტომბრისათვის ორთქლმავლების ზამთრისათვის მომზადების დავალება შესრულებული იყო 70 პროცენტით. მრავალი ათეული ორთქლმავალი მზად არის ზამთრისათვის მზადყოფნის პასპორტის მისაღებად. თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული სავაგონო მეურნეობაშიც. ზამთრისათვის საფუძვლიანად მოემზადნენ ბათუმისა და ხაშურის სავაგონო დეპოები, აგრეთვე თბილისის სამგზავრო ვაგონების დეპოს კოლექტივი.

საფუძვლიანი მზადებაა გაჩაღებული სამგზავრო მეურნეობაში. მზად არის ზამთრისათვის სამგზავრო შემადგენლობანი. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ შემადგენლობათა ბრიგადებმა თვითონვე უზრუნველყვეს შემადგენლობათა მომზადება. წელს კაპიტალურად შეკეთდა 37 ვაგზლის შენობა. გეგმით გათვალისწინებული დანარჩენი ხუთი ვაგზლის შეკეთება გრძელდება. მიმდინარე რემონტი გაუკეთდა მრავალ ათეულ ვაგზალს. სადგურ ნავთლუღში წესრიგზეა მოყვანილი ცენტრალური გათბობა. საგრძნობი რაოდენობით არის შეძენილი და შეკეთებული თოვლსაწმენდი და ვაგონების სათბობი ინვენტარი, შეშა და ქვანახშირი, მოეწყო ვაგონების საცდელი გათბობა.

ასევე საგრძნობი მუშაობაა გაწეული გზის დანარჩენ მეურნეობაში. მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზამთრისათვის რკინიგზის ტრანსპორტის მოსამზადებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ბევრ ადგილას დაუმთავრებელია რკინიგზელთა სახლებისა და საერთო საცხოვრებლების, საორთქლმავლო და სავაგონო დეპოების შენობების რემონტი. განსაკუთრებით ჭიანურდება საცხოვრებელი სახლების, საბარგო საწყობების, სავაგონო და საორთქლმავლო დეპოების სახურავების შეკეთება. შემკეთებელი ორგანიზაციები სახურავი მასალის ნაკლებობას იმიზეზებენ და გადამჭრელ ზომებს არ იღებენ ადგილობრივი რესურსების გამოსანახავად, არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოსაყენებლად. საკმაო რაოდენობით არ არის შეძენილი თოვლსაწმენდი ინვენტარი. ზოგან, მაგალითად, შორაპნის დეპოში, იმის გამო, რომ დროულად ვერ უზრუნველყვეს დასათბუნავი მასალის მიღება, 15 ოქტომბრისათვის დაწყებული არ იყო ორთქლმავლების დათბუნვა. არც ერთი საორთქლმავლო დეპო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთ ნაკლებმნიშვნელოვან დეპოს, ჯერჯერობით მზად არ არის ზამთრისათვის მზადყოფნის პასპორტის მისაღებად.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს, გზის პოლიტგანყოფილების, პარტიული და პროფესიული ორგანიზაციების, თვითეული რკინიგზელის მოვალეობაა უახლოეს დროში დამამთავრონ რკინიგზის ტრანსპორტის მომზადება ზამთრისათვის, უზრუნველყონ გზის შეუფერხებელი, გამართული მუშაობა და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომ წინსვლაში.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ გესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ სომხეთის სსრ კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს ნედლი ბამბის დამზადების სახელმწიფო გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 30 პროცენტით მეტი ნედლი ბამბა, ვიდრე მთელი 1948 წლის განმავლობაში. დამზადებული ნედლი ბამბის საერთო რაოდენობიდან საუკეთესო, პირველი და მეორე ხარისხი შეადგენენ 95 პროცენტს, ნაცვლად სახელმწიფო გეგმით დაწესებული 80 პროცენტისა.

ნედლი ბამბის კრეფა და გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაბარება გრძელდება.

სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი არუთინოვი
სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე კარაპეტიანი
სომხეთის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ყაზარიანი
სომხეთის სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრი დარბინიანი

ქრონიკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საგარეჯოს რაიონის ნინოწმინდის სასოფლო საბჭოს სოფელ აღბულაღს ეწოდა სოფელი წყაროსთავი. (საქდესი).

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ცენტნერი ყურძენი

ქუთაისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 102 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ქუთაისის რაიკომის მდივანი ამხ. გაბრიაძე და მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. მაღლაფერიძე იტყობინებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 1.000 ცენტნერი ყურძენი.

შამპანური ღვინოების კომბინატის საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს ყურძნის მოსავლიანობის გეგმა

შამპანური ღვინოების კომბინატის საბჭოთა მეურნეობებმა 131,7 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა საკუთარი მოსავლიდან.

დამზადებულია 1.106 ტონა ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 840 ტონისა.

როგორ ასრულებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებას

აფხაზეთის ასს რესპუბლიკას ნაკისრი აქვს ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 800 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 25 ოქტომბრისათვის გეგმის გადამეტებით მოკრეფილი იყო 655,4 ტონა.

წულუკიძის რაიონში წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 321,2 ტონა ჩაის ფოთოლი. ვალდებულებით უნდა მოეკრიფათ 250 ტონა.

ქუთაისის რაიონმა ნაკისრი 212 ტონის ნაცვლად მოკრიფა 251,0 ტონა.

წყალტუბოს რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულების — 120 ტონის ანგარიშში მოკრიფეს 84,7 ტონა ჩაის ფოთოლი.

ცხაკაიას რაიონმა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფა 220,7 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 200 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა.

ტყიბულელებმა გეგმის გადამეტებით 293,5 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ვალდებულება კი 200 ტონის მოკრეფას ითვალისწინებდა.

აბაშის რაიონს, რომელმაც გეგმის გადამეტებით 60 ტონის მოკრეფა იკისრა, მოკრეფილი აქვს 36,1 ტონა.

გეგეჭკორის რაიონის მეჩაიეებმა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფეს 716,4 ტონა ჩაის ფოთოლი.

ზუგდიდელთა ვალდებულება 1.000 ტონის მოკრეფას ითვალისწინებს. აქედან მოკრეფილია 850,1 ტონა.

წალენჯიხის რაიონმა გეგმის გადამეტებით 298,1 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ვალდებულება კი 350 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფას ითვალისწინებს.

ხობის რაიონმა გეგმის გადამეტებით 100 ტონა ჩაის ფოთლის მოკრეფა იკისრა. აქედან მოკრეფილია 54,9 ტონა.

ჩხოროწყუს რაიონს ვალდებულებით 300 ტონა ჩაის ფოთოლი უნდა მოეკრიფა, მოკრიფა 338,9 ტონა.

საქართველოს მევენახეები უხვად აძლევენ სამშობლოს ყურძენს!

მოწინავე მევენახეები

სიღნაღი

სოფელ ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში სიკო ჭაბაშვილის ბრიგადამ 10,5 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე მოიყვანა 153 ცენტნერი ყურძენი. ამავე ბრიგადის მერგოლურებმა ვლადიმერ გელაშვილმა 3,2 ჰექტარ ვენახში მოიყვანა ჰექტარზე 174 ცენტნერი ყურძენი, რომან მილაშვილმა კი 3 ჰექტარ ვენახში ჰექტარზე 168 ცენტნერი.

სოფელ ძველი ანაგის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურს ნინო ბიდიაშვილს 3 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 101,8 ცენტნერი ყურძენი აქვს მიღებული.

დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა იოსებ მჭედლიშვილმა 6,25 ჰექტარ ვენახში ჰექტარზე მოკრიფა 79 ცენტნერი ყურძენი.

ყვარელი

სოფელ ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის პავლე ჯუჯღოშვილის რგოლს გეგმით წელს ჰექტარზე 37 ცენტნერი ყურძენი უნდა მიეღო; ფაქტიურად 4,1 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე მიიღო 74 ცენტნერი, ხოლო მადალმოსავლიანი 3,3 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 80,4 ცენტნერი. პირადად მერგოლურმა ერთ ჰექტარზე 101 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა. ამავე რგოლის წევრს გიგა დიასამიძეს ერთ ჰექტარზე 91 ცენტნერი ყურძენი აქვს მიღებული.

ახალსოფლის კუბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში 18 ჰექტარი ვენახი ანტონ ტყეშელაშვილის ბრიგადას აქვს მიჩენილი. წელს ყურძნის მოსავალი გეგმასთან შედარებით აქ თითქმის ერთიორად არის გადიდებული. ამ ბრიგადის ვ. სულიკაშვილის რგოლმა 3,75 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე უზრუნველყო 77 ცენტნერი ყურძნის მიღება, პირადად მერგოლურმა კი მისთვის მიჩენილ ერთ ჰექტარზე 84 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

ამბროლაური

სოფელ ხვანჭკარის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში გერონტი მეტონიძემ ერთ ჰექტარზე 80 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა, სოფელ ქვედა სხვავაში ივანე ლანდიამ—72, სოფელ ზედა ჟოშხაში გენადი მკერვალიშვილმა — 70 ცენტნერი. ამხ. გ. მეტონიძეს გეგმის გადამეტებით ჩაბარებული აქვს 845 კილოგრამი ყურძენი, ი. ლანდიას — 1.495, გ. მკერვალიშვილს — 1.095 კილოგრამი.

გორი

სოფელ ზემოხიდისთავის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში წელს 10 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე მიღებულია 100 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარა 12 ტონა ყურძენი.

ქედა

სოფელ ცხომორისის მესამე ინტერნაციონალის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა, სოციალისტური შრომის გმირმა აბდულ ბერიძემ 3 ჰექტარი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 116 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 105 ცენტნერისა.

ყურძნის უხვი მოსავალი მიიღო აგრეთვე სოფელ ქედის XVIII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ორდენოსანმა მევენახემ ადამ ბერიძემ. მან 1,5 ჰექტარზე 150 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

მცხეთა

ბევრ კოლმეურნეობაში ყურძნის მოსავლიანობის გეგმას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ. მთლიანად რაიონს ნაკისრი აქვს ვალდებულება გეგმის გადამეტებით ჩააბაროს სახელმწიფოს 1.500 ცენტნერი ყურძენი.

მრავლდება მოწინავე მევენახეთა რიცხვი. სოფელ ძეგვის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურმა სტეფანე სოლოღაშვილმა 2,5 ჰექტარიდან 8 ტონა ყურძენი ჩააბარა. ამავე რგოლის წევრმა ვანო მარქარაშვილმა 0,22 ჰექტარზე 1.459 კილოგრამი ყურძენი მოიყვანა.

სოფელ არაშენდის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა სანდრო ხუთურაულმა ერთ ჰექტარზე უზრუნველყო გეგმის გადამეტებით 480 კილოგრამი ყურძნის მიღება.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მიჩურინული ბიოლოგიური და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების განვითარების დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, წარმოებაში მისი მიღწევების დანერგვისათვის, დაარსების ოცი წლისთავთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემია დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი.
1949 წლის 27 ოქტომბერი.

სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1949 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებულებით სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების დარგში თვალსაჩინო მიღწევისათვის, ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის 20 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის „გორკი ლენინსკიეს“ ექსპერიმენტული ბაზის გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი აკადემიკოსი ა. ა. ავაქიანი; ვ. მ. მოლოტოვის სახელობის მოსკოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო მანქანების კათედრის გამგე აკადემიკოსი ი. თ. ვასილენკო, აკადემიკოს მ. თ. ივანოვის სახელობის ცხოველთა ჰიბრიდიზაციისა და აკლიმატიზაციის საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის (ასკანია-ნოვა) მეღორეობის ლაბორატორიის გამგე აკადემიკოსი ლ. კ. გრებნია; ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის „გორკი ლენინსკიეს“ ექსპერიმენტული ბაზის სელექციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი აკადემიკოსი დ. ა. დოლგუშინი; მცენარეთა ფიზიოლოგიისა და აგროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი — აკადემიკოსი, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დოქტორი ა. ი. დუშეჩკინი; სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი მ. ი. დიაკოვი; ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სექციის თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. ნ. კოსტიაკოვი; კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მეცხოველეობის კათედრის გამგე აკადემიკოსი ე. თ. ლისენი; ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო; ტ. დ. ლისენკოს სახელობის საკავშირო სასელექციო-გენეტიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში აკადემიკოსი მ. ა. ოლშანსკი; ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ვეტერინარიის სექციის თავმჯდომარე აკადემიკოსი კ. ი. სკრიაბინი; კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის დირექტორი პროფესორი ვ. ნ. სტოლეტოვი; მემცენარეობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი ი. გ. ეიხფელდი და კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის მემცენარეობის კათედრის გამგე აკადემიკოსი ი. ვ. იაკუშკინი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 145 კაცი; **„საპატიო ნიშნის“** ორდენით — 176 კაცი; მედლით **„შრომითი მამაცობისათვის“** — 46 კაცი და მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის“** — 15 კაცი. (საქდესი).

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის 20 წლისთავი

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის 20 წელი შეესრულდა.

აკადემია შეიქმნა 1929 წელს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით. ჯერ კიდევ 1922 წელს სსრ კავშირის საბჭოების I ყრილობამ დაადგინა: მოეწყოს მოსკოვში სოფლის მეურნეობის ცენტრალური სამეცნიერო ინსტიტუტი, რომლის განყოფილება გაიხსნას ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. მისი ამოცანა გაიერთიანოს სამეცნიერო და პრაქტიკული ძალები ახალგაზრდა საბჭოთა საზელმწიფოს სოფლის მეურნეობის უსწრაფესი განვითარებისა და აღმავლობისათვის. ამ ინსტიტუტის ბაზაზე შექმნილი აკადემია „გახდა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი სამეცნიერო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულება.

აკადემია აერთიანებს და ხელმძღვანელობს მრავალი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და საცდელი სადგურის მუშაობას, რომლებიც სწავლობენ სხვადასხვა საკითხს და რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

მუშაობის 20 წლის განმავლობაში გამოყვანილია მრავალი შესანიშნავი ჯიშის მარცვლეული, ტექნიკური, ბოსტნეული, ბაღჩეული, სუბტროპიკული და სხვა „კულტურები, აგრეთვე ზეხილი. მეცნიერთა მუშაობის მეთხებით მიწათმოქმედება შესაძლებელი გახდა უდასნისა და შორეულ ჩრდილოეთში. შეიქმნა ასობით ახალი კონსტრუქციის სასოფლო-სამეურნეო მანქანები: მარცვლეულის გაუმჯობესებული კომბაინები, თვითმავალი სათიბი მანქანა, შაქრის ჭარხლის ასაღები კომბაინი, მანქანები მეცხოველეობის ფერმებისათვის, ხელოვნური წვიმის მანქანები და ბევრი სხვა რამ.

აკადემია გახდა შტაბი მოწინავე საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერებისა, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს დიდმა მეცნიერებმა მიჩურინმა და ვილიამსმა. მიჩურინის მოძღვრებას ნიჭიერად ავითარებს ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო.

აკადემიის მუშაობის შესანიშნავ თავისებურებას წარმოადგენს ყოველდღიური მჭიდრო კავშირი აგრონომების, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ფართო მასებთან. მოწინავე მეცნიერების მონაპოვარი სწრაფად ინერგება ცხოვრებაში. მაგალითად, თესლის ოიროვიზაციის მეთოდს ჯერ კიდევ ომამდე იყენებდნენ 10 მილიონ ჰექტარზე მეტ ფართობზე. ამჟამად ამ მეთოდს იყენებენ უფრო ფართო მასშტაბით და იგი ჩვენს ქვეყანას დამატებით აძლევს ასობით მილიონ ფუთ პურს. სსრ კავშირის მთელ სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში კარტოფილს თესავენ ზაფხულში, რითაც აღწევენ მოსავლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას და სათესლე მასალის ხარისხის გაუმჯობესებას. პრაქტიკაში დანერგილია ოინჯის ზაფხულობით თესვა, რაც უზრუნველყოფს ამ ძვირფასი კულტურის თესლის უხვ მოსავალს. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონის 73 ოლქში, მხარესა და რესპუბლიკაში გამოყენებულია მრავალეული კულტურების თესლის აღმოცენების უნარის გადიდების მეთოდი ჰაერ-სითბოთი დამუშავების გზით, რითაც მიღწეულია თესლის აღმოცენების უნარის გაუმჯობესება და მოსავლიანობის გადიდება. შესანიშნავი შედეგი მოგვცა ველში აკადემიკოს ლისენკოს მეთოდით ტყის ხუდობრივი თესვის ცდებმა. 1950 წელს ხუდობრივად დათესულია ასეული ათასობით ჰექტარი ტყე. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დიდად შევამციროთ ტუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის შესრულების ვადები. მიმდინარე წლიდან ცომბირის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ იყენებენ საშემოდგომო ხორბლის თესვას ნაწვერალზე.

სოციალისტური მიწათმოქმედებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკადემიის ნაშრომებს ეულების ტუნების გარდაქმნის, ახალ რაიონებში სუბტროპიკული კულტურების გავრცელების, დატოტვილი ხორბლის მოყვანის დარგში და სხვ.

მთელი ბიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში ერთ-ერთი უდიდესი მოვლენა იყო აკადემიის 1948 წლის აგვისტოს სესია. მან შეჯამა ბიოლოგიის ორი მიმართულების მრავალი წლის ბრძოლის შედეგი და ცხადყო მიჩურინული მოძღვრების სრული გამარჯვება თეორიასა და პრაქტიკაში გაკოტრებულ მენდელიზმ-მორგანიზმზე.

ზოოტექნიკური მეცნიერების ისტორიაში შეგა აკადემიის 1949 წლის მაისის სესია, მიძღვნილი მეცნიერების ამოცანებისადმი საზოგადოებრივი პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარების სამწლიანი გეგმის შესრულების საქმეში. აკადემიკოს ტ. დ. ლისენკოს მოხსენების საფუძველზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, რომლებიც მიჩურინული მოძღვრების საფუძველზე მეცხოველეობის დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ფართო პერსპექტივებს ქმნიან.

აკადემიის ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დარგის მეცნიერთა ნიჭიერი კოლექტივი, გარემოსილი პარტიის, მთავრობისა და პირადად ამხანაგ ი. ბ. სტალინის მუდმივი ზრუნვით, ყოველწლიურად სულ ახალ და ახალ წარმატებას აღწევს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის მძლავრ აყვავებას.

* * *

ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო სესიაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ მეცნიერების წარმომადგენლები და სოფლის მეურნეობის მოწინავეები საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკიდან. სესია იწყება ოთხშაბათს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში. აკადემიის მუშაობის შედეგებსა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ამოცანებზე მოხსენებას გააკეთებს აკადემიკოსი ტ. დ. ლისენკო.

სესია ორ დღეს გასტანს. (საქდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ*

შრომის წითელი დროშის ორდენით

14. **ფიტინევი** პეტრე თევდორეს-ძე — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 20,3 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,5 ცენტნერი ყურძენი.

15. **ზუბაშვილი** ბორის იაკობის-ძე— გურჯაანის ღვინის ქარხნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 7,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 82 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

16. **ივანიშვილი** ნიკოლოზ ვასილის-ძე — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველი, რომელმაც 20,3 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 103,5 ცენტნერი ყურძენი.

17. **კაკუნაშვილი** იოსებ დავითის-ძე — ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 105 ცენტნერი ყურძენი.

18. **კარიაგინა** ვერა დანილის ასული — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 76 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

19. **კვირიკაშვილი** ზაქარია ისაკის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი აგრონომი, რომელმაც 50 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,5 ცენტნერი ყურძენი.

20. **კოროლიოვა** ანა დიმიტრის ასული — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 4,2 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 163,3 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

21. **მაკარაშვილი** მიხეილ თომას-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60,6 ცენტნერი ყურძენი.

22. **მაჭავარიანი** გიორგი ბესარიონის-ძე — მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 61,3 ცენტნერი ყურძენი.

23. **ნარინდოშვილი** ზურაბ ივანეს-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 100 ცენტნერი ყურძენი.

24. **ფარეზიშვილი** გიორგი ალექსანდრეს-ძე — თელავის რაიონის სამრეწველო კომბინატის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 77 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

25. **პოლიშჩუკი** ულიანა ზაქარიას ასული — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 66,8 ცენტნერი ყურძენი.

26. **რაზმაძე** არჩილ საბას-ძე—თელავის რაიონის სამრეწველო კომბინატის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 3,6 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 77 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

27. **როგოვიკი** ვასილ ნიკიფორეს-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 3 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 170,8 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

28. **რუსიშვილი** გიგა ზაქარიას-ძე— მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 68,4 ცენტნერი ყურძენი.

29. **სამადაშვილი** ილარიონ ნიკოლოზის-ძე — თელავის რაიონის სამრეწველო კომბინატის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველი, რომელმაც 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 60 ცენტნერი ყურძენი.

30. **სპარსიაშვილი** ოთარ ივანეს-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის უფროსი ინჟინერ-მექანიზატორი, რომელმაც თავი გამოიჩინა 54,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 103,7 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

31. **ტერტერაშვილი** სიმონ ზაქარიას-ძე — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3,9 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 67,4 ცენტნერი ყურძენი.

32. **უტიაშვილი** ლევან მიხეილის-ძე — გურჯაანის ღვინის ქარხნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 102 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

33. **ჩაველაშვილი** ივანე ალექსანდრეს-ძე — თელავის რაიონის სამრეწველო კომბინატის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური, რომელმაც 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 83 ცენტნერი ყურძენი.

34. **ჩერნოვა** დარია თევდორეს ასული — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა, რომელმაც თავი გამოიჩინა 3 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე 165,3 ცენტნერი ყურძნის მოყვანაში.

35. **ჭუმბურიძე** ეკატერინე სიმონის ასული — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,2 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 65 ცენტნერი ყურძენი.

36. **შანშიაშვილი** ხვთისო მიხეილის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი, რომელმაც 10,3 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 166,7 ცენტნერი ყურძენი.

37. **შარაშიძე** დავით გიორგის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, რომელმაც 50 ჰექტარი სარწყავი ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 104,5 ცენტნერი ყურძენი.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **აზნიაშვილი** ილია იოსების-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

2. **ამილახვარი** გიორგი ნიკოლოზის-ძე — საქართველოს შამპანკომბინატის ვაჭევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

3. **ბელიაევა** ელისაბედ ივანეს ასული — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

4. **ბოგუცაი** კალისტრატე ულიანის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

5. **ბორისენკო** ანდრია ივანეს-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მჭედელი.

6. **ვალაბუევა** ლუბა ივანეს ასული— ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

7. **ვასილჩენკო** პავლე ვასილის-ძე — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

8. **ვახტანგიშვილი** ნიკოლოზ იაკობის-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

9. **ვემაზაშვილი** ზაქარია გიორგის-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

10. **გიორგაძე** კალისტრატე ილიას-ძე — საქართველოს შამპანკომბინატის თერჯოლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

11. **გუჩაშვილი** გაბრიელ ალექსის-ძე — კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

12. **დავითაშვილი** მარიამ საბას ასული — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

13. **დავითაშვილი** საბა ანდრიას-ძე— წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

14. **დერკაჩი** პეტრე ვასილის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

15. **ექვთიმიშვილი** გიორგი იოსების-ძე — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

16. **ემურა** ვლადიმერ ფილიპეს-ძე— მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

17. **ზულიაშვილი** იასონ დიმიტრის-ძე — მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

18. **იასეშვილი** დიმიტრი გაბრიელის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

19. **კოდოშვილი** პეტრე დიმიტრის-ძე — საქართველოს შამპანკომბინატის ვაჭევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

20. **კრავჩენკო** . გალინა ზაქარიას ასული — საქართველოს შამპანკომბინატის ვაჭევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

21. **კრასნოკუტსკაია** მატრონა ანდრიას ასული — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

22. **კუბლაშვილი** დავით ნესტორის-ძე — საქართველოს შამპანკომბინატის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

23. **ქურციკაშვილი** იროდიონ ლევანის-ძე — თელავის რაიონის სამრეწველო კომბინატის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

24. **ლიპარტაშვილი** ევა ალექსანდრეს ასული — გურჯაანის ღვინის ქარხნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

25. **ლიფანოვი** თევდორე სტეფანეს-ძე — კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

26. **მაისურაძე** ივანე ნიკოლოზის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

27. **მასლოვი** ალექსი დემენტის-ძე— მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

28. **მედვედევი** საველი პეტრეს-ძე— ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

29. **მდინარაძე** ვერა მიხეილის ასული — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირი.

30. **მუჯირი** გერონტი სიმონის-ძე— საქართველოს შამპანკომბინატის თერჯოლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

31. **ნაცვლიშვილი** ლევან ზაქარიას-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის განყოფილების მმართველი.

32. **ოტიაშვილი** ნიკოლოზ ივანეს-ძე — მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

33. **პასტუხოვი** ვასილ ფადეის-ძე — საქართველოს შამპანკომბინატის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

34. **პრიცკოვა** ანა მიხეილის ასული — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

35. **საკიანი** ამხენ გასპარის ასული — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

36. **სირაძე** აქვსენტი სისოს-ძე—საქართველოს შამპანკომბინატის ვაჭევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

37. **სკლიაროვა** ლიდია ნიკიტას ასული — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

38. **სკლიაროვი** ნიკიტა ილიას-ძე — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

39. **ტალბერგი** ლეონიდე ალექსანდრეს-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

40. **ტალბერგი** ემილ ალექსანდრეს-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტი.

41. **უტიაშვილი** ვარა იაგორის ასული — გურჯაანის ღვინის ქარხნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

42. **ხუციაიძე** მიხეილ ალექსანდრეს-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

43. **ჩერევკო** ვერა ემეთიმეს ასული — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

44. **ჩერქეზიშვილი** ზაქარია ილიას-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის მოადგილე.

45. **ჩერტოვსკაია** ანა მიხეილის ასული — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

46. **შალვაშვილი** გიორგი იოსების-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ინჟინერ-მექანიკოსი.

47. **შარიქაძე** სიმონ მელიტონის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი.

48. **შირიმეშოვა** ნინო ივანეს ასული — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

49. **შიხალცევა** მარიამ დიმიტრის ასული — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ალიევი** მაჰარამ ალი ოღლი — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მოძრწყველი.

2. **ბაშლაი** პეტრე ალექსის-ძე — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

3. **ბეჟუაშვილი** ალექსი ისაკის-ძე— წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

4. **ბელოუსოვა** მარიამ სიმონის ასული — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

5. **დათუკაშვილი** გიორგი ლევანის-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

6. **დმიტრიენკო** ალექსანდრა ნიკიტას ასული — ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

7. **კვიტჩენკო** მარიამ სტეფანეს ასული — ხირსის ბერიას სახელობის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის რგოლის მუშა.

8. **ქუმსიაშვილი** ელენე გიორგის ასული — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის აგრონომი.

9. **მირზაშვილი** გიორგი სერგის-ძე— მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

10. **მსუქნიშვილი** ივანე მიხეილის-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

11. **პალიევა** ირინე ივანეს ასული— თელავის რაიონის სამრეწველო კომბინატის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გზისათვის.

12. **სიმონიშვილი** გიორგი ნიკოლოზის-ძე—მანავის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

13. **ტეტიაშვილი** ვასილ ზაქარიას-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა.

14. **ცერცვაძე** მიხეილ დიმიტრის-ძე — წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მერგოლური.

*) დასასრული. დასაწყისი იხ. გვ. „კომუნისტი“ № 214.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 5 ოქტომბერი.

დიდი რევოლუციონერი დემოკრატი

(ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების 60 წლისთავის გამო)

ნიკოლოზ გაბრიელის-ძე ჩერნიშევსკი რუსეთში მარქსიზმის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი წინამორბედია. ამხანაგმა სტალინმა იგი მოიხსენია რუსი ერის იმ უდიდეს წარმომადგენელთა შორის, რომლებმაც მთელ მსოფლიოში გაუთქვეს სახელი რუსულ კულტურას.

ჩერნიშევსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა. ვ. ი. ლენინმა მოგვცა მისი მოღვაწეობის მკაფიო დახასიათება და შეფასება: „ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი, რომელიც ოცნებობდა სოციალიზმის დამყარებაზე ძველი, ნახევრადფეოდალური, გლეხური თემის გზით, რომელიც ვერ ხედავდა და არ შეეძლო დაენახა გასული საუკუნის 60-იან წლებში, რომ მხოლოდ კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის განვითარებას შეუძლია შექმნას მატერიალური პირობები და საზოგადოებრივი ძალა სოციალიზმის განსახორციელებლად. მაგრამ ჩერნიშევსკი მარტო სოციალისტ-უტოპისტი როდი იყო. იგი იყო აგრეთვე რევოლუციონერი დემოკრატი, იგი რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ცენზურის მხრივ ყოველნაირი დაბრკოლების მიუხედავად ავრცელებდა გლეხთა რევოლუციის იდეას, ყველა ძველ ხელისუფლებათა დამხობისათვის მასების ბრძოლის იდეას“ (ლენინი. თხზ., ტ. XV, გვ. 144).

ჩერნიშევსკი ბავშვობიდანვე მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშრომელ ხალხთან. იგი იზრდებოდა ვოლგაზე, სარატოვში, სადაც ცოცხლად იყო დაცული მოგონებანი გლეხთა მასების შეიარაღებულ ბრძოლაზე, რომელსაც რაზინი და პუგაჩოვი მეთაურობდნენ. პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ 1850 წელს ჩერნიშევსკი დაბრუნდა თავის სამშობლო ქალაქში, სადაც პედაგოგად მუშაობდა. იგი გულისხმიერად ეკიდებოდა გლეხთა რევოლუციურ მასებში მზარდ რევოლუციურ სულისკვეთებას. მისი დღიურის 1853 წლის ერთ-ერთ ჩანაწერში ნათქვამია: „ხალხის უკმაყოფილება მთავრობის, გადასახადთა, მოხელეთა და მემამულეთა წინააღმდეგ სულ უფრო ძლიერდება... ამასთანავე მატულობს განათლებული წრის იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებიც მტრულად არიან განწყობილი არსებული წესწყობილების წინააღმდეგ. აი მზად არის ნაპერწკალი, რომელმაც ხანძარი უნდა გააჩაღოს. საკითხავია მხოლოდ, თუ როდის იფეთქებს ეს? შესაძლოა ათიოდე წლის შემდეგ, მაგრამ მე ვფიქრობ, უფრო მალეც“.

1853 წელს ჩერნიშევსკი გადავიდა პეტერბურგში, სადაც მჭიდრო კავშირი დაამყარა ჟურნალ „სოვრემენიკთან“, რომელიც დემოკრატიული მოძრაობის ცენტრს წარმოადგენდა. 1856 წლიდან იგი ჟურნალის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. აქ გაიშალა მისი ბრწყინვალე ლიტერატურული მოღვაწეობა.

თვითმპყრობელობასა და ბატონყმობასთან ბრძოლაში ჩერნიშევსკიმ გამოიყენა ყველა სახის იდეური იარაღი: იგი იბრძვის როგორც პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ლიტერატურული კრიტიკოსი და ბელეტრისტი. ყველა თავის ლიტერატურულ ნაშრომში, მიუხედავად ჟანრისა, იგი მგზნებარე მებრძოლია ბატონყმური რეაქციისა და მემამულური ჩაგვრის წინააღმდეგ, ლიბერალების თვალთმაქცობის წინააღმდეგ.

მეფის მთავრობას ჩერნიშევსკისა ეშინოდა, მისი გამოსვლები სამიშად მიაჩნდა. 1862 წლის 7 ივლისს ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და პეტრე-პავლეს ციხეში ჩასვეს. მაგრამ მას იარაღი არ დაუყრია მაშინაც კი, როცა სამართალში იყო მიცემული და გამოძიებაში იმყოფებოდა. საპყრობილეში მან დაწერა შესანიშნავი რომანი „რა ვაკეთოთ?“, სადაც მხატვრული სახეებით ამკვიდრებს რევოლუციის იდეას.

1864 წელს, ,ხუთარო სამოქალაქო დასჯის შემდეგ, ჩერნიშევსკი კატორღაში გაგზავნეს, შემდეგ კი გადაასახლეს.

დიდ რევოლუციონერს მხოლოდ ხიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დართეს ნება დასახლებულიყო ასტრახანში, მაგრამ ჟურნალების კარი მას დაბშული ჰქონდა, რადგან იგი საშიშ „მემამბოხედ“ ითვლებოდა. ჩერნიშევსკი მთელ თავის სიცოცხლეში ერთგული იყო რევოლუციურ-დემოკრატიული ბრძოლის საქმისა.

ჩერნიშევსკის ისტორიულმა შეზღუდულობამ თავი იჩინა იმაში, რომ იგი ჯერ კიდევ არ მიჯნავდა პროლეტარიატს ექსპლოატირებული ხალხის საერთო მასისაგან, რომ მას გლეხობა ერთად-ერთ რეალურ დასაყრდენად მიაჩნდა რევოლუციურ ბრძოლაში. ჩერნიშევსკის შესაძლებლად მიაჩნდა, რუსეთი სოციალისტურ გზაზე გადასულიყო გლეხთა თემის საშუალებით, გვერდი აევლო კაპიტალისტური განვითარების გზისათვის. მაგრამ, შემდგომდროინდელი ხალხოსნებისაგან განსხვავებით, რომლებიც თემს აიდეალებდნენ და ქებას ასხამდნენ, რომლებიც ლამობდნენ ლიბერალური გზით გაეჯანსაღებინათ მაშინდელი საზოგადოება, ჩერნიშევსკი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იცავდა ცარიზმის წინააღმდეგ რევოლუციის საჭიროებას, მემამულური მიწათმფლობელობისა და სახელმწიფოებრიობის დანგრევის საჭიროებას. ჩერნიშევსკი ყველა თავის თანამედროვეზე უკეთ ჩასწვდა მთავრობის 1861 წლის აქტის — ეგრეთ წოდებული გლეხთა განთავისუფლების შინაარსს და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ რევოლუციური ბრძოლის გაბედული გზა აირჩია. საბატონო გლეხებისადმი მიმართულ თავის შესანიშნავ პროკლამაციაში ჩერნიშევსკი აშკარად მოუწოდებდა გლეხთა მასებს ურჩობისა და რევოლუციური გამოსვლებისაკენ. „საჭირო იყო სწორედ ჩერნიშევსკის გენიალობა, — წერდა ლენინი,—რომ მაშინ, გლეხთა რეფორმის თვით განხორციელების ეპოქაში (როცა ის ჯერ კიდევ დასავლეთშიც კი არ იყო საკმაოდ გაშუქებული), რომ ასე ნათლად გაეგო მისი ძირითადი ბურჟუაზიული ხასიათი“ (ლენინი. თხზ., ტომი I, გვ. 179).

ჩერნიშევსკი შეურიგებელი მებრძოლი იყო ხალხთა რასობრივი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მან ბრწყინვალედ ამხილა ექსპლოატატორული არსი ამერიკელ მონათმფლობელთა და ინგლისელ კოლონიზატორთა თეორიის და პოლიტიკისა. იგი დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდა ევროპისა და აზიის ჩაგრული ხალხების რევოლუციურ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

მარქსი დიდად აფასებდა ჩერნიშევსკის საქმიანობას, უწოდებდა მას „დიდ რუს მეცნიერსა და კრიტიკოსს“. ერთ-ერთ წერილში მარქსმა სურვილი გამოთქვა დაბეჭდილიყო რაიმე „ჩერნიშევსკის ცხოვრების, პიროვნების შესახებ და ა. შ., რათა გამოვიწვიოთ მისდამი თანაგრძნობა დასავლეთში“ (მარქსი და ენგელსი. თხზ., ტომი XXVI, გვ. 306).

უშიშარი რევოლუციური მებრძოლი, ჩერნიშევსკი ამავე დროს დიდი ნოვატორი მეცნიერი იყო. იგი XIX საუკუნის რუსული კლასიკური ფილოსოფიის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. მას მტკიცედ ეკავა მატერიალისტური პოზიცია, იცავდა რა მას ბნელეთის მოციქულობის, იდეალიზმისა და ხუცობის წინააღმდეგ ბრძოლაში. სტატიაში „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“ ჩერნიშევსკი ცხადყოფს სულისა და მატერიის განუყოფელ ერთიანობას. ისეთ მეცნიერებაში, როგორიცაა ფიზიოლოგია, მედიცინა, ქიმია, იგი ხედავდა იმის დადასტურებას, რომ „ადამიანში არავითარი დუალიზმი არა ჩანს, ხოლო ფილოსოფია დასძენს—ადამიანს რომ გარდა თავისი რეალური ბუნებისა სხვა ბუნება ჰქონდეს, ეს სხვა ბუნება უთუოდ გამომჟღავნდებოდა რაშეი, მაგრამ რადგან ის არაფერი არ მჟღავნდება, რადგან ყოველივე, რაც ადამიანში ხდება და მჟღავნდება, წარმოსდგება მხოლოდ მისი რეალური ბუნებისაგან, სხვა ბუნება მას არა აქვს“ (ჩერნიშევსკი. თხზულებათა კრებული, ტომი VI, გვ. 194).

ჩერნიშევსკიმ თანმიმდევრობით მატერიალისტურად გადაწყვიტა ყოფიერებისა და აზროვნების დამოკიდებულების საკითხი.

შემეცნების ჭეშმარიტების კრიტერიუმი ჩერნიშევსკისათვის იყო პრაქტიკა, რომელიც, მისი მოსწრებული სიტყვით, არის „მოტყუებათა და თავის ცდუნებათა დიადი მამხილებელი. არა მარტო პრაქტიკულ საქმეებში, არამედ აგრეთვე გრძნობისა და აზრის საქმეებში“ (ტომი X, ნაწილი II, გვ. 174).

ფილოსოფია ჩერნიშევსკისათვის იყო არა მარტო სინამდვილის შემეცნების საშუალება, არამედ მისი გარდაქმნის იარაღიც. იგი ფილოსოფიას არ მიჯნავდა პოლიტიკისა და პარტიული ბრძოლისაგან. „პოლიტიკური თეორიები,—წერდა ჩერნიშევსკი, — და საზოგადოდ ყოველი ფილოსოფიური მოძღვრება ყოველთვის იქმნებოდა იმ საზოგადოებრივი მდგომარეობის უძლიერესი გავლენით, რომელსაც ეკუთვნოდნენ, და თვითეული ფილოსოფოსი რომელიმე იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი იყო, რომელიც თავის ხანაში იბრძოდა საზოგადოებაზე ბატონობისათვის“ (ტომი VI, გვ. 180).

„ჩერნიშევსკი, — წერდა ლენინი,— ნამდვილად ერთადერთი დიდი რუსი მწერალია, რომელმაც შეძლო 50-იანი წლებიდან 1888 წლამდე დარჩენილიყო მთლიანი ფილოსოფიური მატერიალიზმის დონეზე... მაგრამ ჩერნიშევსკიმ ვერ შეძლო, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას, რუსეთის ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, არ შეეძლო ამაღლებულიყო მარქსისა და ენგელსის დიალექტიკურ მატერიალიზმამდე“ (ლენინი. თხზ., ტომი XIII, გვ. 295).

ჩერნიშევსკის დიდი ისტორიული დამსახურება ის იყო, რომ მან გადატრიალება მოახდინა ესთეტიკური აზროვნების დარგში. მან გადამწყვეტი ლახვარი ჩასცა მაშინდელ გაბატონებულ იდეალისტურ თეორიებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ხელოვნების ნაწარმოებში მხატვარი განასახიერებს რაღაც განყენებულ იდეალს, რომელიც თვით ცხოვრებაში არ არსებობს. თავის შესანიშნავ დისერტაციაში — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ — ჩერნიშევსკიმ ცხადყო ხელოვნებისა და ცხოვრების განუყოფელი კავშირი. იგი ხელმძღვანელობდა იმით, რომ ლიტერატურასა და ხელოვნებას საფუძვლად უდევს მისწრაფება ცხოვრების სიმართლის წარმოსახვისადმი, ხოლო ნამდვილი მშვენიერება თვითონ ცხოვრებაა, როგორიც იგი უნდა იყოს ხალხის საუკეთესო შვილთა წარმოდგენით. ჩერნიშევსკი ამტკიცებდა, რომ მშვენიერებაზე წარმოდგენა განპირობებულია იმ წრის კლასობრივი ბუნებით, რომელიც ხელოვნებას აღიქვამს. ხელოვნების ამოცანა ჩერნიშევსკის აზრით, ის არის, რომ წარმოსახოს ის, „რაც ცხოვრებაში საინტერესოა ადამიანისათვის“. „ცხოვრების წარმოსახვა არის ხელოვნების საერთო დამახასიათებელი ნიშანი, რომელიც მის არსს შეადგენს; ხშირად ხელოვნების ნაწარმოებს აქვს სხვა დანიშნულებაც — ცხოვრების ახსნა; ხშირად მას ცხოვრების მოვლენათა განაჩენის მნიშვნელობაც აქვს“.

ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კრიტიკულ, სატირულ მიმართულებას რუსულ ლიტერატურაში. იგი დიდად აფასებდა გოგოლის შემოქმედებას, რომელიც მიაჩნდა ფეუდმდებლად კრიტიკული რეალიზმისა, თავისი სატირის მახვილს რომ მიმართავს თვითმპყრობელურ-ბატონყმური სინამდვილის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკი დიდად აფასებდა აგრეთვე ნეკრასოვსა და სალტიკოვ-შჩედრინს მათი შემოქმედების რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულებისათვის. მან შესანიშნავად განჭვრიტა ლევ ტოლსტოის მხატვრული ოსტატობის ძირითადი ნიშნები, როცა ის-ის იყო იწყებოდა მისი შემოქმედებითი გზა.

თავისი რომანით „რა ვაკეთოთ?“ ჩერნიშევსკი განაგრძობდა დიადი რუსული ლიტერატურის ჰუმანისტურ და დემოკრატიულ ტრადიციებს. ამასთანავე მან თავის წიგნში ხორცი შეასხა მოწინავე იდეებს, რომლებიც რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ ეტაპს შეესაბამებოდნენ. ავტორისავე აღიარებით, რომანის დაწყებისას იგი ხელმძღვანელობდა მისწრაფებით—მკითხველისათვის მიეცა „ცხოვრების ცოდნის ენციკლოპედია“. მიმართა რა მახვილი ექსპლოატატორული საზოგადოების მთავარი საფუძვლებისა და მთელი მორალურ-ეთიკური კოდექსის წინააღმდეგ, მწერალმა თვალი მიაპყრო ახალ ადამიანთა სახეებს, ძლიერ ადამიანებს, რომლებიც მზად იყვნენ თავდადებით ებრძოლნათ ხალხის განთავისუფლებისათვის. მას სწამდა, რომ მომავალი ეკუთვნოდათ ამ ადამიანებს. „ეკითილნო და ძლიერნო, პატიოსანნო და უნარიანნო, — წერდა ჩერნიშევსკი,—დიდი ხანი არაა, რაც თქვენ წარმოიშვით ჩვენს შორის, მაგრამ თქვენ უკვე ცოტანი აღარ ხართ, და სწრაფად მრავლდებით“. რომანის გმირები — რახმეტოვი, ვერა პავლოვნა, ლოპუხოვი, კირსანოვი — მთელი თავიანთი პრაქტიკული მოღვაწეობით იბრძვიან იმ დიადი იდეალების განხორციელებისათვის, რომლებიც იმ დროის მოწინავე ახალგაზრდობას აღაფრთოვანებდნენ. ვერა პავლოვნა ქალის მომხიბვლელი სახეა რუსულ ლიტერატურაში. მის შესანიშნავ „სიზმრებში“ ჩერნიშევსკიმ დაგვიხატა მომავალი თავისუფალი საზოგადოების უტოპიური სურათი.

რახმეტოვის სახით ჩერნიშევსკიმ გვიჩვენა პროფესიონალი რევოლუციონერის ტიპი, მაღალი მორალური პრინციპების ადამიანი. რახმეტოვი, რომელიც მემამულეთა წრეს ეკუთვნის, კავშირს წყვეტს თავის კლასთან და მთელ თავის ქონებას აბმარს რევოლუციის საქმეს. მის ხასიათში შეზამებულია რკინისებური ნება და ღრმა ადამიანურობა. რახმეტოვი მზად არის ყოველგვარი გაჭირვება აიტანოს დიადი მიზნისათვის.

ახალი ადამიანების დახასიათებას ჩერნიშევსკი ამთავრებს პირდაპირი მიმართვით მკითხველისადმი: „თქვენ სავსებით შეგიძლიათ თანაბარი იყოთ იმ ადამიანებისა, რომლებსაც მე ვხატავ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

სჯახანოვური უბნებიდან სჯახანოვურ საამქროებამდე

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის მესამე მექანიკურ საამქროში, რომელსაც ინჟინერ-მექანიკოსი თ. დავითაშვილი ხელმძღვანელობს, საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებამდე არც ერთი უბანი არ იყო სტახანოვური. ყველა საწარმოო უბანზე იყო თითო-ოროლა ისეთი მუშა, რომელიც გამომუშავების ნორმას ვერ ასრულებდა. მაგალითად, ივლისში საამქროში გამომუშავების ნორმა ვერ შეასრულა 15 მუშამ, აგვისტოში ჩამორჩა 10 კაცი, ხოლო სექტემბერში—6 კაცი.

საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისთანავე საამქროს კოლექტივმა ფართოდ გააჩაღა ბრძოლა ცალკე საწარმოო უბნების სტახანოვურ უბნებად, ხოლო წლის ბოლოსათვის მთელი საამქროს სტახანოვურ საწარმოდ გადაქცევისათვის. ამ მხრივ მათ საყურადღებო შედეგებს მიაღწიეს.

ამჟამად მესამე მექანიკურ საამქროში სამი სტახანოვური უბანია, ხოლო ოქტომბრის დასაწყისიდანვე ყოველდღიური დავალების სტახანოვური მაჩვენებლებით შესრულება იწყეს დანარჩენ ორ საწარმოო უბანზეც. საყურადღებოა ლ. გოგიჩაძის უბნის კოლექტივის გამოცდილება.

ლევან გოგიჩაძე ინჟინერ-მექანიკოსია და ხელმძღვანელობს იმ საოსტატოს, რომელიც ჰმზადებს დაზგის ამძრავ კოლოფებსა და ეგრეთწოდებულ წინსაფარს (სუპორტის საფარს). ამ საქმეში დაოსტატებულ მოწინავე სტახანოველებთან ერთად, უბანზე მუშაობენ ახალმოსულნიც, რომლებიც ნორმებს ვერ ასრულებდნენ და უბანს უკან სწევდნენ. ერთი ასეთი ჩამორჩენილთაგანი იყო უბანზე ახალმოსული ხ. ჩომანია, რომელმაც რამდენიმე თვის წინათ დაამთავრა სახელოსნო სასწავლებელი. მის გვერდით მუშაობდნენ გ. თიგიშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 225-250 პროცენტით ასრულებს, ნ. დავითაია, რომელსაც არასოდეს ჰქონია 200 პროცენტზე დაბალი საწარმოო მაჩვენებელი, მ. ჯანეზაშვილი — სახელოსნო სასწავლებლიდან ქარხანაში მოსული ახალგაზრდა, რომელიც ყოველდღიურად იძლევა 200-225 პროცენტს, და სხვები.

უბნის ხელძღვანელობამ გადაწყვიტა ახალმოსულთათვის ქმედითი დახმარების გაწევა. ხ. ჩომანიასა და მისი რამდენიმე ამხანაგის სამუშაო ადგილების გვერდით მოაწყეს ამავე დროს მოწინავე სტახანოველის მ. ჯანეზაშვილის სამუშაო ადგილი. ახალმოსულებს ყველა პირობა შეუქმნეს, რათა არაფერს შეეშალა მათთვის ხელი საწარმოო დავალებათა შესრულებაში. სათანადო რჩევა-დარიგებასა და მაგალითებს მათ აძლევდა თვითონ ოსტატი, ამასთან ყოველწუთიერად შეეძლოთ ეყურებინათ სტახანოველ მ. ჯანეზაშვილისათვის, შეეთვისებინათ მისგან მუშაობის მეთოდები. ასეთმა დახმარებამ კარგი ნაყოფი გამოიღო. სექტემბრიდან უბანზე ახალმოსულნი გადაჭარბებით ასრულებენ ყოველდღიურ დავალებას, ხოლო ოქტომბრის დასაწყისიდანვე მათ უკვე მიაღწიეს მაღალ სტახანოვურ მაჩვენებლებს.

— თავიდანვე ყურადღება მივაქციეთ იმას,—ამბობს ინჟინერი ლ. გოგიჩაძე, — რომ ახალმოსულნი არ დაგვეფრთხო რთული სამუშაოების დაკისრებით. ამიტომ მათთვის ყოველდღე ვარჩევდით მარტივ სამუშაოებს და თან თვალს არ ვაშორებდით, რათა ეს სამუშაოები წარმატებით შესრულებინათ. მათს მახლობლად უფრო მაღალკვალიფიციური მათივე თანამოძმე მ. ჯანეზაშვილის გადაყვანამ ახალმოსულებს უფრო გაუადვილა მუშაობა. თანატოლთან მათ უფრო მალე მოახერხეს დამეგობრება, უფრო თამამნი იყვნენ და ბოლოს ახალგაზრდების ეს პირადი მეგობრობა საწარმოო მეგობრობად გადაიქცა.

დ. ლომთაძე

მოწინავე მშენებელთა მიღწევები

მალე რუსთაველის პროსპექტს დაამშვენებს დედაქალაქის ერთ-ერთი ულამაზესი ნაგებობა — ქვანახშირის კომბინატის ადმინისტრაციული სახლი, რომელიც შოთა რუსთაველის ძეგლის მახლობლად შენდება.

ამჟამად აღნიშნულ მშენებლობაზე გაცხოველებული მუშაობაა გაჩაღებული. მშენებელთა კოლექტივი ჩაბმულია საოქტომბრო შეჯიბრებაში. მოწინავე სტახანოველები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს. განსაკუთრებით გამოირჩევა სტახანოველ შ. ტყეშელაშვილის დურგალთა ბრიგადა, რომელიც ბეტონის ჩასასხმი ჩარჩოს შემოფიცრვაზე მუშაობს. ნორმით გათვალისწინებულია თვითეული ასეთი ჩარჩოს სამჯერ გადაადგილება, რის შემდეგ ფიცრები გამოუსადეგარი ხდება. ბრიგადა კი ახერხებს მის ოთხჯერ გადაადგილებას და ამით აღწევს ფიცრების დიდი რაოდენობით დაზოგვას. დურგალთა ამ მოწინავე ბრიგადამ უკვე შეასრულა 11 თვის დავალება და ახლა იმისათვის იბრძვის, რომ 7 ნოემბრისათვის გაანაღდოს წლიური გეგმა. მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ დურგლები გ. ჩიბირაშვილი და შ. ნაცვლიშვილი, რომლებიც სტაბანოვურ ვახტაზე დგანან და დღიურ დავალებას 135-150 პროცენტით ასრულებენ.

წლის განვლილ პერიოდში მეარმატურე ვ. ივანჩენკომ 1 წლისა და 3 თვის ნორმა გამოიმუშავა. მას გადაწყვეტილი აქვს 7 ნოემბრამდე კიდევ 3 თვის ნორმა გამოიმუშაოს. ასევე მაღალნაყოფიერად მუშაობს ქვის მწყობელი ს. ხალათოვი, რომელმაც ოქტომბრის დღესასწაულამდე წლიური გეგმის შესრულება და 3 კალატოზის მომზადება იკისრა.

მშენებლობაზე ფართოდ არის გამოყენებული მექანიზაცია. აქ მექანიზმების შეუფერხებლად ამუშავებენ და მაღალნაყოფიერად იყენებენ. ამ მხრივ შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვეს ფართოლიანდაგიანი კოშკურა ამწის მემანქანეებმა კომკავშირელებმა თ. თხინვალელმა და ს. ისაევმა, რომელთა საოქტომბრო ვალდებულებაა ცვლაში 200 ტონა სამენი მასალა მიაწოდონ მშენებლებს მესამე სართულზე. ამ ვალდებულების გასანაღდებლად ისინი ისეთი სიზუსტით მუშაობენ, რომ ყოველ ხუთ წუთში ასწრებენ ამწის დატვირთვას, ტვირთის მესამე სართულზე აზიდვასა და დაცლას.

მ. აროშიძე

ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადა დამთავრდა

გუშინდელი კონცერტით დამთავრდა ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადა. კონცერტს დიდძალი ხალხი დაესწრო. პირველი განყოფილება მიძღვნილი იყო კამერული ვოკალურ-ინსტრუმენტალური ნაწარმოებებისადმი. შესრულებულ რომანსებსა და სიმღერებს შორის აღსანიშნავია: შ. მილორავას „სიმღერა“, ო. თაქთაქიშვილის „სიმღერა თბილისზე“, ა. ჩიმაკაძის „ძმად ნაფიცს“, თ. შავერზაშვილის „ნუ იმღერ ტურფავ“ და ქ. თუმანიშვილის „როს ახმაურდა გაზაფხული“.

მუსიკალური სახეების სიღრმით და გამომსახველობით გამოირჩეოდნენ ა. შავერზაშვილის „გამწირა წუთისოფელმა“, დ. შვედოვის „ძეგლი“ და „მავზოლეუმთან“.

წარმატება ხვდა ახალგაზრდა კომპოზიტორის სანდრო მირიანაშვილის ორ ნაწარმოებს: „სიმღერა სტალინზე“ და „ჰეროი“.

მხცოვანი კომპოზიტორის დიმიტრი არაყიშვილის რომანსმა — „ბახჩისარაის შადრევანთან“ დამსწრეთა შორის მხურვალე მოწონება ჰპოვა.

შემსრულებლებიდან წარმატება ხვდათ წილად მ. ყვარელაშვილს, ე. ხიჯაკაძეს, პ. ამირანაშვილს, თ. ლაფიაშვილს და დ. ანდღულაძეს. კონცერტმეისტერების პარტიები შეასრულეს ნ. ლაფერაშვილმა, ი. გორდონმა და დ. შვედოვმა.

გულნარა ქავთარაძემ შეასრულა რამდენიმე საფორტეპიანო ნაწარმოები: ნ. გუდიაშვილის პრელუდი, ა. ბალანჩივაძის პრელუდი და „ელეგია“ და ა. შავერზაშვილის „ანდანტე“.

კონცერტის მეორე განყოფილება დაიკავა ანდრია ბალანჩივაძის ოპერა „მზიას“ მესამე მოქმედებამ (ლიბრეტო ვ. პატარაიასი). ამ ერთი აქტითაც შეიძლება ვიქონიოთ წარმოდგენა ოპერის მუსიკის მაღალმხატვრულ მხარეებზე. ლირიზმი, მელოდიურობა, კოლორიტული ორკესტრი, მოძრავი, გამომსახველი გუნდები რიტმისა და ტემპის ნაირფეროვნებასთან ერთად შეადგენენ ა. ბალანჩივაძის ამ საოპერო მუსიკის ღირსებებს. „მზიას“ მესამე აქტის შესრულებაში მონაწილეობა მიიღეს ოპერის მომღერლებმა: თ. ლაფიაშვილმა, ე. ხიჯაკაძემ, შ. თაბუკაშვილმა, შ. ვაშალომიძემ, ვ. შაპოშნიკოვმა, ვ. ხამაშურიძემ, ოპერის გუნდმა და ორკესტრმა. დირიჟორობდა შ. აზმაიფარაშვილი.

ქართული საბჭოთა მუსიკის დეკადა დასრულდა შალვა მშველიძის მონუმენტური ორატორიით, რომელსაც ავტორმა „კავკასიონი“ უწოდა. „კავკასიონი“ ხასიათდება ლირიკული, დრამატიული და გმირული ეპიზოდების გააზრებული თანმიმდევრობით და დიდი პოლიფონიური ოსტატობით. ორატორიის შესრულებაში მონაწილეობა მიიღეს ოპერის სოლისტებმა გ. შმალცელმა, რ. გელოვანმა, გ. გეგუჩაძემ, შ. თაბუკაშვილმა, ხახელმწიფო საგუნდო კაპელამ და სიმფონიურმა ორკესტრმა. დირიჟორობდა ო. დიმიტრიადი.

დღეს და ხვალ შედგება მუსიკოსთა კონფერენცია, რომელზეც აზრთა გაცვლა-გამოცვლის შედეგად, საერთო შეფასება მიეცემა ჩატარებულ დეკადას.

ბოლო მოვუღოთ ფაშისტურ ტერორს საბერძნეთში!

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. (საკუთარი). პოლიტიკური კომიტეტი 25 ოქტომბრის სხდომაზე განაგრძობდა რეზოლუციის იმ პროექტის განხილვას, რომელიც 24 ოქტომბერს სსრ კავშირის დელეგაციამ შეიტანა და რომლის მიზანია საბერძნეთში მხეცური მონარქისტულ-ფაშისტური ტერორისაგან ბერძენი პატრიოტების დაცვა.

ამ წინადადებამ მხარდაჭერა ჰპოვა არამარტო პოლიტიკურ კომიტეტში დელეგაციების მნიშვნელოვანი რაოდენობის მხრივ, არამედ ამერიკის პროგრესული საზოგადოებრიობის მხრივაც. 25 ოქტომბერს გენერალური ასამბლეის თავმჯდომარე რომულო ინახულა ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული პროფკავშირებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შემდგარმა დელეგაციამ. დელეგაციამ მოითხოვა, რომ გენერალური ასამბლეა გამოვიდეს ბერძენი პატრიოტების დასაცავად და კერძოდ გადაარჩინოს საბერძნეთის მეზღვაურთა პროგრესული პროფკავშირის 10 ხელმძღვანელი, რომელთაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს.

როგორც ცნობილია, გენერალური ასამბლეის ჩარეგმა 1948 წლის ნოემბერში გადაარჩინა ამ ბერძენი დემოკრატების სიცოცხლე. ახლა მათ კვლავ ემუქრებათ სიკვდილით დასჯა, რამდენადაც ათენის მთავრობამ მითითება მისცა საპელაციო სასამართლოს უარყოს მათი შუამდგომლობა სასიკვდილო განაჩენის გაუქმების შესახებ.

„მთელი კაცობრიობა თვალს აპყრობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რომლისგანაც მოელის ასეთი ტერორისაგან დაცვას“, — განუცხადა დელეგაციამ გენერალური ასამბლეის თავმჯდომარეს. დელეგაციამ მოითხოვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღოს ეფექტიანი ღონისძიებანი საბერძნეთში მონარქისტულ-ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა გადასარჩენად. დელეგაციაში შედიოდნენ ამერიკის მასწავლებელთა პროფკავშირის, ამერიკელ ქალთა კონგრესის, ელექტრიკოსი მუშების პროფკავშირის ადგილობრივი ორგანიზაციების, ბეწვეულობის მუშაკთა პროფკავშირისა და სცენარისტი მწერლების ჰოლდის წარმომადგენლები.

მხეცური მონარქისტულ-ფაშისტური ტერორისაგან ბერძენი პატრიოტების დასაცავად გამოსვლის მოწინააღმდეგეებმა, რომლებიც 24 ოქტომბერს დამარცხდნენ თავიანთი პირდაპირი ცდის დროს — შეეკვეცათ დისკუსია და გაეშვებინათ საბჭოთა წინადადება, აშკარად ვერ გაბედეს აშკარად გამოსულიყვნენ მონარქისტულ-ფაშისტური ტერორის გასამართლებლად. ისინი ფარისევლურად სიტყვიერად აღიარებდნენ, რომ საჭიროა ამ ტერორის შეწყვეტა, მაგრამ იმავე დროს უარს ამბობდნენ მხარი დაეჭირათ საბჭოთა წინადადებისათვის და ამასთან იმოწმებდნენ სასაცილო, მოგონილ, ფორმალურ-ბიუროკრატიულ საბაბს.

მაგალითად, ტაის (სიამის) წარმომადგენელმა, განაცხადა რა, რომ სამე ეხება ბერძენი დემოკრატების სიცოცხლის გადარჩენას, აღიარა, რომ მისთვის „ძალიან ძნელი იქნება ხმა მისცეს საბჭოთა რეზოლუციის წინაღმდეგ“. მაგრამ თავისი მსჯელობა იმაზე, რომ ხუდისტური რელიგია, რომელსაც იგი აღიარებს, „გვაძლევს მოყვასის სიყვარულს“ მან იმით დაამთავრა, რომ განაცხადა: ჩემი დელეგაცია რეზოლუციის საბჭოთა პროექტისათვის კენჭისყრაში თავს შეიკავებსო.

მექსიკის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობა, რომელსაც ტანჯავს მოაქვს ბერძენი ხალხისათვის, უნდა „მოწესრიგდეს“ და რომ პატივი უნდა ვცეთ „ადამიანთა სიცოცხლესა და ღირსებას“. მან არც თუ უსაფუძვლოდ გაიხსენა, რომ არსებული საერთაშორისო კონვენციები კრძალავენ წამებასა და სიკვდილით დასჯას სათანადოდ გაუსამართლებლად. მან ისიც განაცხადა, თითქოს მისი დელეგაცია გულგრილი ვერ დარჩება იმ საქმის არსისადმი, რომელიც ეხება ადამიანთა სიცოცხლისა და ღირსების დაცვას, და ამტკიცებდა, რომ მის დელეგაციაზე „ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საბერძნეთში მასსოხრივი სიკვდილით დასჯის ფაქტებმა, რომლებიც წინა სხდომაზე მოიყვანეს“. მექსიკის წარმომადგენელმა სამართლიანად აღნიშნა, რომ, თუ არ შეიქმნა საბერძნეთის საკითხის გადაჭრისადმი ჰუმანური მიდგომის ატმოსფერო, ეს დაიბრკოლებს მის გადაჭრას. მაგრამ სრულიად იმის წინააღმდეგ, რაც მან თქვა, დასასრულ განაცხადა, რომ კომიტეტს თითქოს არ შეუძლია მმართოს საბერძნეთის მთავრობას წინადადებით შეწყვიტოს სიკვდილით დასჯა. მექსიკის დელეგატი ამტკიცებდა, თითქოს საკმაო იქნება, თუ კომიტეტში წარმოეტანა დისკუსიის ოქმები და შემოტანილ წინადადებათა ტექსტები გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარესა და გენერალურ მდივანს და „გამოთქმულ იქნება იმედი, რომ საბერძნეთის მთავრობა სიკვდილით დასჯას შეაჩერებს“.

საფრანგეთის წარმომადგენელი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ რეპრესიები, რომლებსაც ათენის მთავრობა მიმართავს, ხოლოდ „ისე ხრმად, მხეცურად და უსამართლოდ, რომ ხშირად ამ რეპრესიების მსხვერპლი ხდებიან უდანაშაულო ადამიანები“. მაგრამ იგი მოუწოდებდა დაეჯერებინათ საბერძნეთის წარმომადგენლის განცხადება, რომ 29 სექტემბრის შემდეგ სიკვდილით დასჯა თითქოს შეწყდა, და განაცხადა, რომ ამ საფუძველზე ხმას მისცემს რეზოლუციის საბჭოთა პროექტის წინააღმდეგ. ცდილობდა რა დაესაბუთებინა საბჭოთა რეზოლუციისათვის მხარდაჭერაზე უარის თქმა, საფრანგეთის წარმომადგენელი ამტკიცებდა, თითქოს ეს რეზოლუცია „სრული არ არის“, ვინაიდან იგი ეხება მხოლოდ რვა კაცს. საფრანგეთის წარმომადგენლის ამ განცხადების ფარისევლობა იქიდან ჩანს, რომ მას არ შემოუტანია არავითარი წინადადება, რომელიც მოწოდებას საბერძნეთში სიკვდილით დასჯის შეწყვეტის შესახებ გავრცელებდა ყველა ბერძენ პატრიოტზე, რომელთაც სიკვდილი მოელით ათენის მონარქისტულ-ფაშისტური მთავრობის დილეგებში.

ინგლისის წარმომადგენელი კვლავ ცდილობდა აეჩქარებინა კომიტეტი, რათა კენჭისყრელად დაესვათ რეზოლუციის საბჭოთა პროექტი. ხელი ჩასვეა რა საფრანგეთ-მექსიკის წარმომადგენლების მსჯელობას, რომ თითქოს კომიტეტი „უფლებამოსილი არ არის“ მიიღოს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის მიერ შემოტანილი წინადადების მსგავსი წინადადებანი, და რომ საკმაოა ათენის მთავრობის წარმომადგენლის მტკიცება, რომ „სიკვდილით დასჯა შემდეგში აღარ იქნება“, ინგლისის წარმომადგენელი ცდილობდა დაერწმუნებინა დელეგატები, საჭირო არ არის არავითარი გადაწყვეტილების მიღება.

ათენის მთავრობის წარმომადგენელი ვენიზელოსი ცდილობდა ბერძენი პატრიოტებისათვის დაეკისრებინა პასუხისმგებლობა სამოქალაქო ომისათვის, რაც საბერძნეთში ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების მფარველობით და წაქეზებით გაჩაღდა. ამტკიცებდა რა, რომ სიკვდილით დასჯა საბერძნეთში თითქოს შეწყდა, საბერძნეთის წარმომადგენელმა ამავე დროს განაცხადა, სიკვდილით დასჯის შეწყვეტა „არა მგონია, სასარგებლო იქნესო“.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა დ. ზ. მანუილსკიმ ამხილა ათენის მთავრობის წარმომადგენლის ყალბი, ფარისევლური ხრიკები. მანუილსკიმ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ამა წლის 29 სექტემბრის პოლონეთის დელეგაციამ პოლიტიკურ კომიტეტში აღძრა საკითხი ეკატერინე ზევგოსის სიკვდილით დასჯის შეჩერების შესახებ. კომიტეტის ბევრმა წევრმა მხარი დაუჭირა ამ ჰუმანურ მოწოდებას. სალვადორისა და კუბის წარმომადგენლებმა შეიტანეს რეზოლუციები, რომლებიც წინადადებას იძლეოდნენ შეეჩერებინათ სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანა. ათენის მთავრობის წარმომადგენელმა მაშინ განაცხადა, რომ საბერძნეთის პარლამენტში შეტანილია კანონი, რომელიც აფარათოებს ამნისტიას. მან განაცხადა აგრეთვე, რომ სასიკვდილო განაჩენები განსახილველად გადაეცემა საპელაციო სასამართლოს. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ, რომლის წინაშეც აგრეთვე დაისვა ეს საკითხი, დაგვარწმუნა, რომ იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდებოდა საბერძნეთის დელეგაციის ხელმძღვანელს. რომულომ მაშინ დაგვარწმუნა, რომ საბერძნეთის წარმომადგენლის განცხადება ამნისტიის შესახებ რეალურად განხორციელდებაო. კომიტეტის შემდეგ სხდომაზე საბერძნეთის წარმომადგენელი ამტკიცებდა, თითქოს ათენის მთავრობამ მიიღო „ჰუმანური“ ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია იქით, რომ შეაჩეროს სასიკვდილო განაჩენები, რომ არსებობს პატიმართა „ხელახლა აღზრდის“ რაღაც ბანაკები, რომ ეს ბანაკები „დამაკმაყოფილებლად“ მოქმედებენ. საბერძნეთის წარმომადგენლის ამ განცხადების საფუძველზე სალვადორისა და კუბის დელეგატებმა მოხსნეს თავიანთი რეზოლუციები.

ყველამ ვიცით, — განაგრძო მანუილსკიმ,— თუ რა მოხდა ამის შემდეგ. შემდეგ სხდომაზე პოლიტიკურ კომიტეტს პირში მიახალეს ცნობა, რომ საბერძნეთში დახვრიტეს დემოსთენის გეორგიუ, ხოლო ახლა ჩვენ შევიტყეთ, რომ ეკატერინე ზევგოსს მეორედ გამოუტანეს სასიკვდილო განაჩენი. განა პოლიტიკური კომიტეტის შეფარაცხყოფა არ არის, როცა მას ასეთი ყალბი დარწმუნებით ატყუებენ?

მანუილსკიმ აღნიშნა, რომ 24 ოქტომბრის სხდომაზე საბერძნეთის წარმომადგენელმა პასუხი არ გასცა უკრაინის სსრ დელეგაციის მიერ მისთვის მიცემულ პირდაპირ კითხვაზე— გაუკვრეს თუ არა, ან შეაჩერებენ თუ არა განაჩენებს იმ ბერძენი დემოკრატების მიმართ, რომლებზეც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ლაპარაკობდა.

„საბერძნეთის წარმომადგენელმა ამ კითხვაზე პასუხი არ გაგვცა. უკრაინის დელეგაცია შეშფოთებულია, ვინაიდან სწორედ ამტომ, რომ ეს საკითხი აქ სსრ კავშირის დელეგაციამ აღძრა, შესაძლებელია უკვე გაგზავნილია დეპეშა ათენს, და ის პირები, რომლებზედაც ლაპარაკი იყო, ან დახვრეულია არიან ათენის მთავრობის ბრძანებით, ან დახვრეტილ იქნენიან. განა შეიძლება შეფუთიგდეთ პოლიტიკური კომიტეტისადმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციისადმი ამგვარ დამოკიდებულებას?

აქ ხშირად ლაპარაკობენ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებაზე. მაგრამ აი საბერძნეთში ღღეს, ახლა, 1949 წლის ოქტომბერში, მიმართავენ უარესად მხეცურ წამებას. აწამებენ ბრალდებულთ, სტანჯავენ მოწმეებს, აწიოკებენ უდანაშაულო ადამიანებს. განა შეიძლება შეფუთიგდეთ ასეთ მხეცურ პრაქტიკას, რომელიც საბერძნეთს საშუალო საუკუნეების უარესად შაბნელი ხანისაკენ აბრუნებს?

პოლიტიკურმა კომიტეტმა უნდა შეაჩეროს ჯალათების ხელი. უკრაინის სსრ დელეგაცია მზარს უჭერს სსრ კავშირის წარმომადგენლის მიერ შემოტანილ რეზოლუციას, რომელიც ნაკარნახევია ჰუმანიზმისა და ადამიანის პრინციპებით, და სთხოვს პოლიტიკურ კომიტეტს მხარი დაუჭიროს ამ რეზოლუციას. მე სრული მორალური უფლება მაქვს მოვითხოვო ეს, — განაცხადა მანუილსკიმ, — ვინაიდან პატივი მაქვს ვიყო წარმომადგენელი იმ დიდი საბჭოეთის ერთ-ერთი რესპუბლიკისა, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ სიკვდილით დასჯა გაუქმა“.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი დელეგაცია, ცდილობს რა გვერდი აუაროს სიკვდილით დასჯის იმ განაჩენთა შეწყვეტის შესახებ სსრ კავშირის რეზოლუციის პროექტის განხილვას, რომლებიც განუწყვეტლივ გამოაქვთ საბერძნეთის სამხედრო სასამართლოებს, ცდილობს ამოეფაროს ყალბ მსჯელობას „დემოკრატიის“, „ადამიანის უფლებების“ შესახებ და სხვ.

საბერძნეთის წარმომადგენელი, აღნიშნა ა. ი. ვიშინსკიმ, ჩიოდა აქ, რომ ვიღაცას თითქოს სურს—მას, რასაკვირველია, მხედველობაში ყავდა საბჭოთა კავშირის დელეგაცია — შეაჩეროს საბერძნეთში სამართალწარმოების მმდინარეობა.

მაგრამ ყველასთვის, ვისაც ყური ჰქონდა, რათა მოესმინა ის, რაც აქ თქვეს საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა და იმ სხეა ქვეყნების წარმომადგენლებმა, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციის ეთანხმებიან, ნათელია, რომ ეს გამოსვლები არ იძლევიან რაიმე საფუძველს ასეთი მტკიცებებისათვის. ყველასათვის, ვისაც აქვს თვალი, რათა წაიკითხოს ის დოკუმენტები, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ წარმოადგინა თავისი პოზიციის დასასაბუთებლად და განსამარტებლად, ნათელია, რომ ეს დოკუმენტებიც სრულიად არავითარ საფუძველს არ იძლევიან იმისათვის, რომ ვილაპარაკოთ, თითქოს აქ ვიღაც ცდილობს შეაჩეროს საბერძნეთში სამართალწარმოების მმდინარეობა. ასეთი მსჯელობა ფუჭი მონაჭორია, რომელიც არავითარ ფაქტებს არ ემყარება, რადგან სსრ კავშირის დელეგაციის გამოსვლაში ამის შესახებ კრიტიკე არ ყოფილა დაძრული, ხოლო მის მიერ წარმოდგენილ რეზოლუციაში ერთი სიტყვაც არ წერია ამის შესახებ.

ა. ი. ვიშინსკიმ სხდომას მოაგონა ათენის მთავრობის წარმომადგენლის განცხადება, რომ პარტიზანთა სიკვდილით დასჯის შეწყვეტა „საეჭვოა სასარგებლო იქნესო“.

რას ნიშნავს ეს განცხადება, თქვა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, რა არის მისი აზრი და დანიშნულება, განსაკუთრებით იმ მოწოდებათა მიხედვით, რომლებიც ღღეს კომიტეტში გაისმოდა, რომ ვენდოთ საბერძნეთის მთავრობას, რომელიც თუ ახალ სასიკვდილო განაჩენთა გამოტანის შეწყვეტა არ აღგვითქვა, ყოველ შეთხზვევაში ის აღგვითქვა, რომ ეს განაჩენები სისრულეში არ მოიყვანონ. რას ნიშნავს შენიშვნა იმის შესახებ, რომ სიკვდილით დასჯის შეწყვეტა „საეჭვოა სასარგებლო იქნესო“, თუ არ იმის დადასტურებას, რომ ათენის მთავრობის წარმომადგენელს საჭიროდ არ მიაჩნია შეწყდეს სასიკვდილო განაჩენთა გამოტანა, შეწყდეს სიკვდილით დასჯა. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბერძნეთის წარმომადგენელმა სავსებით აშკარად ცინიკურად აღიარა აქ, რომ ათენის მთავრობა დახვრეტას უსჯიდა და სიკვდილით სჯიდა ბერძენ პატრიოტებს და რომ მთავრობა კვლავაც გამოიტანს სასიკვდილო განაჩენებს და სისრულეში მოიყვანს ამ განაჩენებს...

მაშ სამართლიანად შეიფასოს საბერძნეთის წარმომადგენლის ეს განცხადება საფრანგეთის დელეგატმა, რომელსაც უკვე არაერთხელ გაუცხადებია, რომ მათთან მოქმედებს ეგრეთწოდებული „ძალისკური დემოკრატია“, დაე ამ განცხადებას ყური დაუგდონ ჩილის, სალვადორისა და ზოგიერთი სხვა დელეგაციის, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციების წარმომადგენლებმა, რომლებსაც საბჭოთა რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ ერთ-ერთ მოსაზრებად მოჰყავთ მტკიცება, თითქოს 29 სექტემბრის შემდეგ აღარ არსებობს საბერძნეთში სასიკვდილო განაჩენთა სისრულეში მოყვანა. ათენის მთავრობის წარმომადგენელმა მაშინ განაცხადა, რომ საბერძნეთის პარლამენტში შეტანილია კანონი, რომელიც აფარათოებს ამნისტიას. მან განაცხადა აგრეთვე, რომ სასიკვდილო განაჩენები განსახილველად გადაეცემა საპელაციო სასამართლოს. გენერალური ასამბლეის თავმჯდომარემ, რომლის წინაშეც აგრეთვე დაისვა ეს საკითხი, დაგვარწმუნა, რომ იგი დაუყოვნებლივ დაუკავშირდებოდა საბერძნეთის დელეგაციის ხელმძღვანელს. რომულომ მაშინ დაგვარწმუნა, რომ საბერძნეთის წარმომადგენლის განცხადება ამნისტიის შესახებ რეალურად განხორციელდებაო. კომიტეტის შემდეგ სხდომაზე საბერძნეთის წარმომადგენელი ამტკიცებდა, თითქოს ათენის მთავრობამ მიიღო „ჰუმანური“ ღონისძიებანი, რომლებიც მიმართულია იქით, რომ შეაჩეროს სასიკვდილო განაჩენები, რომ არსებობს პატიმართა „ხელახლა აღზრდის“ რაღაც ბანაკები, რომ ეს ბანაკები „დამაკმაყოფილებლად“ მოქმედებენ. საბერძნეთის წარმომადგენლის ამ განცხადების საფუძველზე სალვადორისა და კუბის დელეგატებმა მოხსნეს თავიანთი რეზოლუციები.

ა. ი. ვიშინსკი შეეხო ზოგიერთი დელეგატის ცდას საბჭოთა წინადადებისათვის მხარდაჭერაზე თავისი უარი დაფაროს საბერძნეთის წარმომადგენლის მტკიცების დამოწმებით და გამოაქვეყნა 29 სექტემბრის სხდომაზე საბერძნეთის დელეგატის განცხადების ის ნაწილი, რომელშიც ნათქვამია, რომ საბერძნეთის მთავრობის ახალი კანონპროექტები, რომლებსაც თითქოს მიზნად აქვთ შეამსუბუქონ ტერორი საბერძნეთში, შეუფარდებენ „სხვადასხვა სახის სასჯელს, გარდა სიკვდილით დასჯის განაჩენისა“... მათ ეს ახალი კანონპროექტი არ შეეხება. და რომ ამ მხრივ რაიმე ექვი აღარ დარჩეს, საბერძნეთის წარმომადგენელმა მაშინვე განაცხადა, ათენის მთავრობამ გადაწყვიტა დასჯის ყველა შემთხვევა გადასცეს საპელაციო სასამართლოს „იმ პრინციპის შესაბამისად, რომ სასჯელი შეფარდებულ უნდა იქნას მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აბსოლუტურად აუცილებელია“.

და ეს სურთ მიიღონ როგორც უარისთქმა სიკვდილით დასჯის გამოყენებაზე! ეს ფორმულა ძალიან მოსწონს საფრანგეთის წარმომადგენელს, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, ჩილისა და სხვათა წარმომადგენლებს. ჩილის წარმომადგენელს ეს ფორმულირება განსაკუთრებით მოსწონს თუნდაც მხოლოდ იმატომ, რომ საბოლოო ანგარიშით ეს განცხადება სრულიად გამორიცხავს ყოველივე შესაძლებლობას ვიფიქროთ, რომ მთავრობას, რომელსაც ასეთი პოზიცია უკავია, შეუძლია როდისმე უარი თქვას თავისი რომელიმე პოლიტიკური მოწინააღმდეგის სიკვდილით დასჯაზე.

არსებითად, განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ, ამ განცხადებაში ნათქვამია: „ჩვენ დავსჯიდთ, მაგრამ დავსჯიდთ იმდენად, რამდენადაც ეს აბსოლუტურად აუცილებელია“.

მაგრამ განა საბერძნეთის მთავრობას აბსოლუტურად აუცილებლად არ მიაჩნია დახვრიტოს და ჩამოახრჩოს, ზღვაში დაახრჩოს და თანამედროვე ტარპეას კლდეზე გადაჩეხოს ბერძენი პატრიოტები, ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ბიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ მებრძოლები — სარაძისი, მურატიდისი, იოანიდისი, ბარბუნაკისი, ილიოპულოსი, ფამელისი, სტრილაკოსი და ეკატერინე ტალაგანი (ზევგოსი), რომელთაც ამჟამად სიკვდილით დასჯა მოელით საბერძნეთის მონარქისტულ-ფაშისტურ ჯურღმულებში, ადამიანები, რომლებისთვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანაზე უარს ამბობენ საბერძნეთის სამხედრო მოსამართლეებიც კი,—მე არ მოვიიდეზი იმას, რომ მათ აქ ვუწოდო გაუსწორებელი დანაშაულები საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, რადგან ისინი თქვენს ნებას ასრულებენ, ბატონო ათენის წარმომადგენლებო, იმ ხალხს დათრგუნვის საქმეში, რომელიც ებრძვის თავისუფლებისათვის, ებრძვის უცხოელთა თუ ადგილობრივი ყოველგვარი ეოლის წინააღმდ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პოლიტიკურ კომიტეტში

(დასასრული)

რომ ცილისწამებისაგან ჩვეულებრივ რაიმე რჩება ძველი იეზუიტური პრინციპის მიხედვით: „ცილი დასწამეთ, ცილი დასწამეთ, იქნებ რამე დარჩესო“. საფრანგეთის წარმომადგენელმა, დაასკვნა ა. ი. ვიშინსკიმ, დაიკავა სრულიად უვარგისი პოზიცია, რომელსაც სხვანაირად ვერ შევიფასებთ, თუ არა იმისადმი მისწრაფებას, რომ წყალი აამღვრიოს და დაფაროს ამ საქმეში ჩარევის სურვილის უქონლობა, დაფაროს იმისადმი მისწრაფება, რომ რაიმე საბაბით თავი აარიდოს ბერძენ პატრიოტთა სიცოცხლის გადარჩენას.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა უპასუხა ჩილის წარმომადგენლის ცილისმწამებლურ გადაკრულ სიტყვებს საბჭოთა კავშირის შესახებ და აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციას ვერ შეაშინებენ ცილისწამებით, ვინაიდან მას ყოველთვის აქვს შესაძლებლობა ცილისწამებას დაუპირდაპიროს ფაქტები, რომლებიც ყველა პატიოსან და კეთილსინდისიერ ადამიანს ხელს ააღებინებენ იმის ცდაზე, რომ ბინძური წყაროები გამოიყენონ იმისათვის, რათა წყალი აამღვრიოს და თავი აარიდოს იმ საკითხის გადაწყვეტას, რომელიც ახლა კომიტეტმა უნდა გადაწყვიტოს.

სჯობს ჩილის წარმომადგენელმა პატიოსნად და პირდაპირ გვიპასუხოს: იგი ემხრობა 8 ბერძენი პატრიოტის დახვრეტას, საკვლევით დასჯას, თუ ამ საკვლევით დასჯის წინააღმდეგია? თუ იგი საკვლევით დასჯის წინააღმდეგია, თუ კომიტეტი, კომიტეტის დელეგატები ამ არაადამიანურ მკვლელობათა წინააღმდეგი არიან, მიიღეთ რეზოლუცია, რომელიც ხელს შეუშლის ამ მკვლელობებს. მოგვეცით ჩვენ, კომიტეტს, ეს რეზოლუცია. მაგრამ თქვენ მას არ იძლევით. თქვენ სჯერდებით იმას, რომ ჩვენს რეზოლუციას აკრიტიკებთ, თქვენი კი არ შემოგაქვთ.

თქვენ იზიარებთ საბერძნეთის დელეგაციის პოზიციას, რომელიც „სარგებლობს ვერ ხედავს“ ათენის მთავრობის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა საკვლევით დასჯის გაუქმებაში. ჩვენ კი ამ საკვლევით დასჯაში ვხედავთ უდიდეს ზიანს, ათენის მთავრობის ძძიმე დანაშაულს ბერძენი ხალხის წინააღმდეგ, დემოკრატიული საბერძნეთის წინააღმდეგ. თუ თქვენ უარყოფთ ჩვენს რეზოლუციას, რომელშიც ნათლად არის ნათქვამი, რომ კომიტეტი გმობს დახვრეტასა და საკვლევით დასჯას და მოითხოვს ამ საკვლევით დასჯის შეწყვეტას, თუ თქვენ არ იტყვით იმას, რასაც თქვენგან ყოველი პატიოსანი დემოკრატი, ყოველი პატიოსანი ადამიანი მოელის, თუ პოლიტიკური კომიტეტი არ იტყვის თავის სიტყვას საბერძნეთში პატრიოტთა საკვლევით დასჯის დასაგმობად და არ მიაღწევს იმას, რომ ეს საკვლევით დასჯა შეჩერებულ და გაუქმებულ იქნას, ის ლაქა, რომელიც აცხია მათ, ვინც პატრიოტებს ასე ძალიერად უსწორებს ანგარიშს, პოლიტიკური კომიტეტის უმრავლესობასაც მოეცხება.

შემდეგ გამოსულმა პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პოლონეთის დელეგაცია მხარს უჭერს სსრ კავშირის რეზოლუციას. იგი მოუწოდებდა კომიტეტს არ დასჯერდეს მარტო მოწოდებას და არ ერწმუნოს საბერძნეთის წარმომადგენლის დაუსაბუთებელ მტკიცებას იმის შესახებ, რომ საკვლევით დასჯა საბერძნეთში თითქოს შეწყვეტილია, რამდენადაც ეს მტკიცება, როგორც ფაქტები გვიჩვენებენ, მიზნად ისახავს მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის მოტყუებას.

ეკვადორის წარმომადგენელმა შეიტანა წინადადება, რომ კომიტეტმა არ მიიღოს პირდაპირი გადაწყვეტილება საკვლევით დასჯის შეწყვეტის მოთხოვნით, არამედ ამის ნაცვლად რჩევა მისცეს საბერძნეთის საკითხის შემათანხმებელ კომისიას მივართვა გაუგზავნოს საბერძნეთის მთავრობას საკვლევით დასჯის საკითხზე.

სხდომის თავმჯდომარემ სარტერმა (თურქეთი), რომელიც აშკარად ცდილობდა ხელი შეეშალა იმისათვის, რომ კომიტეტს ამა თუ იმ ფორმით მიეღო დადებითი გადაწყვეტილება, რაც მიმართული იქნებოდა საბერძნეთში მზეცური მონარქისტულ-ფაშისტური ტერორის შეწყვეტისაკენ, წინადადება შეიტანა შეეწყვიტათ ორატორების ჩაწერა. მაგრამ რამდენიმე წუთის განმავლობაში კამათში ჩაეწერა 10 წარმომადგენელი. ამასთან პარაგვაის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას სურს ახალი წინადადება შეიტანოს ამ საკითხზე, და ითხოვა მიეცათ მისთვის სიტყვა ამავე სხდომაზე.

კოლუმბიის წარმომადგენელმა, რომელიც სხდომაზე უკანასკნელი გამოვიდა, განაცხადა, რომ მისი დელეგაცია გულგრილად ვერ მოეკიდება მოწოდებას საკვლევით დასჯის შეწყვეტის შესახებ. მან წინადადება შეიტანა კომიტეტმა იმედი გამოთქვას, რომ პოლიტიკური დანაშაულისათვის საკვლევით დასჯის ყველა განაჩენი ყველა ქვეყანაში შეჩერებულ იქნება.

რეზოლუციის პარაგვაის პროექტი კომიტეტს წინადადებას აძლევს „მოუწოდოს ბერძენ ერს შეწყვიტოს საბოტაჟის ყველა აქტი, საკვლევით ყველა დასჯა და საერთოდ ძალადობის ყველა აქტი, რომელსაც ის იყენებს როგორც პოლიტიკურ იარაღს თავის სამოქალაქო და დემოკრატიულ საქმიანობაში“.

სსრ კავშირის დელეგაციის მიერ შეტანილი რეზოლუციის პროექტის, ისევე როგორც კოლუმბიის და პარაგვაის წინადადებათა განხილვა გაგრძელდება პოლიტიკური კომიტეტის შემდეგ სხდომაზე.

გენერალური ასამბლეის სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). 26 ოქტომბერს სპეციალური პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის იმ სპეციალური კომიტეტის მოხსენების განხილვას, რომელიც გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე შეიქმნა იმისათვის რომ შეისწავლოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ტრიუგვე ლის წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსთან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული მცველი რაზმის შექმნის შესახებ.

გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე ამ საკითხის განხილვის დროს გამოაშკარავდა, რომ ეს წინადადება, რომელიც ფაქტიურად ითვალისწინებდა ისეთი სამხედრო ქვეგანაყოფის შექმნას, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განკარგულებაში იქნებოდა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა წესდებას და მიმართული იყო იმისაკენ, რომ გვერდი აევლოთ უშიშროების საბჭოსათვის.

იმის გამო, რომ წინადადება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული მცველი რაზმის შექმნის შესახებ გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე მკაცრად გაკრიტიკეს, გენერალურმა მდივანმა შემდეგ რამდენადმე შეცვალა მისი პირვანდელი ფორმა, მაგრამ არსი კი უცვლელი დატოვა.

ტრიუგვე ლის მეორე შესწორებული წინადადება მოიწონა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალური კომიტეტის უმრავლესობამ, რომელმაც ამ საკითხზე მიიღო ორი რეზოლუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოსთან საველე სამსახურის შექმნისა და საველე მეთვალყურეთა რეზერვის შესახებ. აღნიშნული რეზოლუციები ითვალისწინებენ, რომ შეიქმნას ეგრეთწოდებული საველე სამსახური, რომელიც შეასრულებს „ტექნიკურ სამსახურს და უზრუნველყოფს მისიების წევრთა უშიშროებას“, და რეზერვი საველე მეთვალყურეებისა, რომლებიც შეიძლება მოწოდებულ იქნან დაზავების პირობების შესრულებისადმი, პლებისციტის მოწყობისადმი და სხვ. მეთვალყურეობის ფუნქციების შესასრულებლად.

სსრ კავშირის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალურ კომიტეტში შედიოდნენ, ვერ დაეთანხმებოდნენ კომიტეტის უმრავლესობის ასეთ გადაწყვეტილებას და იღაშქრებდნენ გენერალური მდივნის წინადადების, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დამრღვევი წინადადების წინააღმდეგ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ტრიუგვე ლიმ, რომელიც 25 ოქტომბერს სპეციალურ პოლიტიკურ კომიტეტში გამოვიდა ამ საკითხზე საერთო დისკუსიის დაწყების წინ, კვლავ განაცხადა, თითქოს არსებობს საჭიროება შეიქმნას საველე სამსახური და საველე მეთვალყურეთა რეზერვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს შემადგენლობაში და ამასთან ამტკიცებდა, ასეთი სამსახურების შექმნა ორგანიზაციის წესდების შესაბამისი იქნებოდაო.

საველე სამსახურისა და მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის წინადადების წინაღმდეგ გამოვიდა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი გოუდეკი, რომელმაც აღნიშნა, რომ გენერალური ასამბლეისათვის ამ წინადადების წარდგენის მომენტიდანვე ცხადი იყო, რომ მის მიერ გთვალისწინებული შეიარაღებული მცველი რაზმი შეიძლებოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ბირთვი გახდარიყო. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, — განაცხადა გოუდეკმა, — გენერალურ მდივანს არ ანიჭებს უფლებას შექმნას ყოველგვარი ხასიათის სამხედრო თუ ნახევრადსამხედრო ძალები. ეს შედის მხოლოდ და მხოლოდ უშიშროების საბჭოს კომპეტენციაში. გოუდეკმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ორგანიზებული შეიარაღებული ძალების ყოფნამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა ტერიტორიებზე შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი პოლიტიკური და შეიძლება თვით სამხედრო ხასიათის გართულება და იგი ძალიან ადვილად შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, ფილიპინებისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალური კომიტეტის რეკომენდაციას.

მოკლა რიგმა დელეგაციებმა ეჭვი შეიტანეს კომიტეტის ზოგიერთი რეკომენდაციის მიღების პრაქტიკულ მიზანშეწონილებაში.

ინგლისის წარმომადგენელი შოუკროსი, რომელმაც მხარი დაუჭირა წინადადების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ წოდებული საველე სამსახურის შექმნის შესახებ, არ დაეთანხმა გენერალურ მდივანთან არსებულ საველე მეთვალყურეთა რეზერვის, შექმნის მეთოდს. შოუკროსი აგრეთვე აღნიშნავდა მეთვალყურეთა რწმუნების გაურკვევლობას, მათი სამსახურის ვადის განუსაზღვრელობას და სხვ. მან განაცხადა, ინგლისის დელეგაცია თავს შეიკავებს საველე მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის შესახებ წინადადებისათვის კენჭისყრაშიო.

ინგლისის დელეგაციის პოზიციის მხარი დაუჭირეს საფრანგეთის, ახალი ზელანდიის, ინდოეთის, კანადისა და იუგოსლავიის წარმომადგენლებმა.

ლიბანისა და ეგვიპტის წარმომადგენლებმა, რომლებიც პრინციპულად არ ეწინააღმდეგნენ ამ წინადადების წინააღმდეგ, სერიოზული ეჭვი გამოთქვეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალური კომიტეტის რეზოლუციების შესახებ და აღნიშნეს, რომ ნათლად გამოჩკვეული არ არის არც საველე სამსახურისა და არც საველე მეთვალყურეთა რეზერვის ფუნქციები.

საველე სამსახურისა და საველე მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის შესახებ წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა სსრ კავშირის წარმომადგენელი ს. კ. ცარაპკინი.

ცარაპკინმა მოიყვანა ფაქტები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განსაკუთრებით არიან დაინტერესებულნი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საველე სამსახურისა და საველე მეთვალყურეთა შექმნის საკითხით. მაგალითად, ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ, სანამ მოიწვევდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალურ კომიტეტს, რომელიც გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე შეიქმნა, ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიამ მოიწონა კანონპროექტი, რომელიც რწმუნებას ანიჭებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გაერთიანებულ ერებს ყოველ დროს მიაწოდოს ერთი ადასი შეიარაღებული კაცი ამერიკის შეიარაღებული ძალებიდან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მისიების დაცვის ფუნქციების, აგრეთვე მეთვალყურეების, მრჩევლების, ტექნიკური სპეციალისტებისა და სხვ. ფუნქციების შესასრულებლად.

ყველაზე უცნაური ამ საკითხში,—განაცხადა ცარაპკინმა, — ის არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ორგანო სენატის საგარეო საქმეთა კომისიის სახით აშკარად აჩქარდა, როცა მიიღო გადაწყვეტილება გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში სამსახურისათვის ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეთა გაგზავნის შესახებ და ამერიკული იარაღით და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უწყების საწყობებიდან სხვა საჭურვლით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომარაგების შესახებ. ნება გვიბოძეთ შევეკითხოთ ამერიკის დელეგაციას: ვინ თხოვა ეს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელი ორგანოს რა გადაწყვეტილების საფუძველზე იღებს ამერიკის სენატი კანონპროექტს ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეებითა და ამერიკული იარაღით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომარაგების შესახებ? რამდენადაც ვიცით, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ასეთი თხოვნით შეერთებული შტატებისათვის არ მიუმართავს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალურ კომიტეტში ამ საკითხის განხილვამ,—თქვა სსრ კავშირის დელეგატმა, — ცხადყო, რომ წინადადება საველე სამსახურისა და საველე მეთვალყურეთა რეზერვის შექმნის შესახებ არის იმ ღონისძიებათა საერთო ჯაჭვის ერთი ნაწილი, რომელიც უკანასკნელ წლებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ახორციელებენ და რომლებიც მიმართულია ერთ-ერთ ეს, რომ ამ გზით ეს ორგანოებისა ან ინსტიტუტების ფუნქციები, აგრეთვე ამ უკანასკნელებისათვის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უზრუნველყოფის ფუნქციები შეიძლება შეასრულონ და კიდეც უნდა შეასრულონ იმ სახელმწიფოებმა, რომელთა ტერიტორიებზეც ეს მისიები იმყოფებიან. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით აღნიშნული მიზნებისათვის დაარსდეს საველე სამსახური და საველე რეზერვი.

რამდენადაც ისეთი ღონისძიება, როგორიცაა შექმნა საველე სამსახურისა და საველე მეთვალყურეთა ჯგუფისა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის განკარგულებაში იქნებიან, ეწინააღმდეგება წესდებას,—განაცხადა დასასრულ ს. კ. ცარაპკინმა,—საბჭოთა კავშირის დელეგაცია ხმას მისცემს რეზოლუციების იმ პროექტების წინააღმდეგ, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაცვის სპეციალურმა კომიტეტმა წარმოადგინა.

რეზოლუციების წარმოდგენილი პროექტების წინააღმდეგ გამოვიდა აგრეთვე პოლონეთის დელეგატი დროგოვესკი, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს პროექტები წარმოადგენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს, ამოცანებსა და მიზნებს და ძირს გამოუთხრის მთელი ორგანიზაციის პრესტიჟსა და ავტორიტეტს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვადასხვა ორგანოებისა თუ მისიების ქონების დაცვის ფუნქციები, აგრეთვე ამ უკანასკნელებისათვის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა უზრუნველყოფის ფუნქციები შეიძლება შეასრულონ და კიდეც უნდა შეასრულონ იმ სახელმწიფოებმა, რომელთა ტერიტორიებზეც ეს მისიები იმყოფებიან. არავითარი საჭიროება არ მოითხოვს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დარღვევით აღნიშნული მიზნებისათვის დაარსდეს საველე სამსახური და საველე რეზერვი.

ინგლისელ დელეგატ ლორდ ალანბროკის (ინგლისი) ინიციატივით, ინგლისელ, ამერიკელ, ავსტრალიელ, ფილიპინელ, ინდოელ, ეგვიპტელ, ლიბანელ, ეკვადორელ, ბოლივიელ, ბრაზილიელ, ჩილელ, ეკვადორელ, ინდოელ, ეგვიპტელ, ლიბან